ალექსანდრე სიჭინავა 70 წლისაა

გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ღირსეულ პიროვნებას და მოქალაქეს, ეკონომიკის დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის უფროსს, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ **„ეკონომიკის“** სარედაქციო კოლეგიის აქტიურ წევრს-ბატონ **ალექსანდრე სიჭინავას, 2024 წლის 6 იანვარს 70 წელი შეუსრულდა.**

ბატონი ალექსანდრე 100-ზე მეტი ნაშრომის(მათ შორის სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების) ავტორია, რომელთაგან ზოგიერთი ინგლისურად საზღვარგარეთის ჟურნალებშია დაბეჭდილი, მათ შორის გამოქვეყნებული აქვს სტატია იმპაქტფაქტორიან ჟურნალშიც. მის ნაშრომს(ავტორთა კოლექტივტან ერთად): „მიწის რეფორმა საქართველოში-სახელმწიფო მონოპოლიიდან კერძო საკუთრებამდე: განხორციელების ეტაპები და მექანიზმები“ მიენიჭა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2023 წლის პრემია ეკონომიკაში. ამავე თემაზე ჩაატარა ვებინარი,რომელშიც მონაწილეობა მიიღო 40-მდე უცხოელმა პეოფესორ მაწსავლებელმა.არის საერთაშორისო სამეცნიერო **ჟურნალ**

„ბიზნეს-ინჟინერინგის“ მთავარი რედაქტორი 2011 წლიდან. აქვს 45 წელზე მეტი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის სტაჟი. მისი ხელმძღვანელობით დისერტაცია აქვს დაცული 15-მდე დოქტორანტს, რომელთაც მიენიჭა ეკონომიკის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მისი თაოსნობით გაფორმებულია მემორანდუმები, ეკონომიკის პროფილის, მსოფლიოსა და საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან.

ბატონი ალექსანდრე 2011 წლიდან საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი–აკადემიკოსია; 2013 წლიდან საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი; 2012 წლიდან საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი–აკადემიკოსი, ვიცე-პრეზიდენტი; 2014 წლიდან საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე–პრეზიდენტი; 2015 წლიდან სოციალურ–ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი–აკადემიკოსი;

1995 წლიდან ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი;

1996 წელს მიღებული აქვს უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მადლობა ეკლესია მონასტრების აღდგენასა და მშენებლობაში შეტანილი წვლილისათვის, ასევე ლიეტუვას რესპუბლიკის პარლამენტის მადლობის წერილი, ლიეტუვა-საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცების შესახებ.

1971 წ. – დაამთავრა ჩხოროწყუს რაიონის სოფ.ლესიჭინის #1 საშუალო სკოლა; 1976 წ.–თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით; 1983 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი; 1985 წელს არჩეულ იქნა დოცენტის თანამდებობაზე;

ბოლო 10 წელიწადი მონაწილეიბდა 20–ზე მეტ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციასა და სემინარში; 2012 წელს დააფუძნა კონფერენცია:"ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს ხვალ". ამჟამად, ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტთან ერთად, ჩატარდა რიგით მე–11 კონფერენცია, რომლის მუშაობაში ყოველწლიურად მონაწილეობას ღებულობს 20-ზე მეტი მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები.

1976-1983 წწ. – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის მასწავლებელია; 1983-1984 წწ.–ამავე კათედრის უფროსი მასწავლებელი; 1984-1994 წწ. – ამავე კათედრის დოცენტი; 1983-1991 წწ. – ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე; 1991-1994 წწ.– ბიზნესის უმაღლესი სკოლის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კათედრის გამგე; 1994-1995 წწ.–საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს რეგიონული მართვის სამმართველოს უფროსის მოადგილე; 1995-1997 წწ. – ჩხოროწყუს რაიონის გამგებელი; 1997-2001 წწ. – ჰუმანიტარულ–ეკონომიკური ინსტიტუტ „მერიდიანის" პრორექტორი; 2001-2002 წწ. – ამავე ინსტიტუტის რექტორი; 2003-2005 წწ. – კოლეჯ „ინტელექტუალის „ დირექტორი; 2004 -2005 წწ. – თსუ სოხუმის ფილიალის დოცენტი; 2005-2006 წწ. – თსუ სოხუმის ფილიალის შიდა აუდიტის უფროსი; 2006-2009 წწ. – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; 2009 წლიდან დღემდე სტუ პროფესორი; 2009 წლის სექტემბრიდან ბიზნეს–ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს წევრი; 2009 წლის სექტემბრიდან ბიზ-

ნეს–ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი. 2010 წლიდან აკადემიური საბჭოს წევრი; 2012 წლის 25 იანვარს აიპ–ად სტუ–ს გადასვლასთან დაკავშირებით ხელახლა არჩეულ იქნა აკადემიური საბჭოს წევრად; 2012 წლიდან ეკონომიკური განვითარებისა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის სამეცნიერო– კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელია. 2019 წლიდან დღემდე -„ქონების საერთაშორისო სტანდარტებით შეფასებისა და პროფესიონალ შემფასებელთა მომზადების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის" ხელმძღვანელი.საქართველოში უძრავი ქონების შეფასება როგორც სასწავლო საგანი პირველად შემოღებულიქნა პროფ. ა.სიჭინავას მიერ.ამ მიმართულებით დაცულია მრავალი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები. 2013 წლიდან დღემდე ბატონი ალექსანდრე საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის უფროსია. 2015 წლიდან ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი. 2015 წლიდან საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოს წევრი. 2019 წლიდან ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის საუნივერსიტეტო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; 2020 წლიდან სტუ-ს სენატის წევრი(სენატორი).

ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟიშვილი.

ჟურნალ „ეკონომიკის" რედაქცია ულოცავს ბატონ ალექსანდრე სიჭინავას 70 წლის იუბილეს, უსურვებს დიდხანს სიცოცხლესა და ქვეყნისთვის მისთვის დამახასიათებელი ნაყოფიერი მოღვაწეობის გაგრძელებას.